ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ დეკემბერი _____ 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №238-№241 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის დეკემბრის
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგის-ტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
238	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ლესელიძის ქუჩა №2-ის დასავლეთით	1 308.0	03.02.24.757	260.0 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
239	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, დავით და კონსტანტინეს ქუჩის მიმდებარედ	3 833.0	03.02.24.758	260.0 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
240	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, რეზო ჭეიშვილის ქუჩის მიმდებარედ	244.0	03.05.23.779	55.0 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
241	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №20	4000.0	03.05.22.923	55.0 (1 კვ.მ.–ზე)	პირობით	1. სრული ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში; 2. მომავალი მესაკუთრე ვალდებულია მიწის ნაკვეთზე ააშენოს საკალათბურთო დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცება. ასევე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონების, სარგებლობაში და საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი